13/06/2023

ეროვნულ ბიბლიოთეკაში საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის ხელოვნების სკოლა-პანსიონის მოსწავლეთა კონცერტი ჩატარდა

ა.წ. 10 ივნისს ეროვნულ ბიბლიოთეკაში საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის ხელოვნების სკოლა-პანსიონის მოსწავლეებმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის დაბადების 90 და აღსაყდრების 45 წლებისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამართეს.

კონცერტში მონაწილეობდნენ საფორტეპიანო, სავიოლინე და ვოკალური კლასები, ასევე ხალხურ საკრავთა ორკესტრი და გოგონათა გუნდი. პარალელურად დარბაზში გამოიფინა მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა თემაზე შესრულებელული ნახატები.

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის სკოლა-პანსიონი (დირექტორი: დეკანოზი მირიან სამხარაძე) 2009 წელს დაარსდა. იგი გამორჩეულია იმით, რომ აქვს ხელოვნების მიმართულება და აქ ერთად სწავლობენ და პანსიონში

ცხოვრობენ მუსლიმი და ქრისტიანი ბავშვები; განათლებას იღებენ მოსწავლეები თბილისიდან, აჭარიდან, ჰერეთიდან, ფერეიდნიდან.

ივე წელს

C. BECHSTEIN

patriarchate.ge